

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიში

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ლაგოდეხში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, სოფლებში უმეტეს ქუჩებს არ აქვთ სახელი მინიჭებული, რაც ქმნის პრობლემას ფოსტის, სასწარაფო სამედიცინო დახმარების, პოლიციის მომსახურებაში და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სახელდების პრობლემის მოგვარების შემდგომ შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ნუმერაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რათა პრობლემა იქნას მოგვარებული სრულყოფილად და საფუძვლიანად.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ/ წლის 7 ივნისის #29-ი განკარგულებით შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიული ობიექტების - უბნების, ქუჩების, შესახვევების და ჩიხების სახელდებისათვის გეოგრაფიული ობიექტების ისტორიული დასახელების შესწავლისა და მოსახლეობის ინტერესების გამოკვეთის მიზნით.

სამუშაო ჯგუფის მიერ საქმიანობები დაიყო სამ ძირითად ეტაპად:

I ეტაპი - ძველი დოკუმენტების კვლევა, რომელიც მოიცავდა იმ ძველი დოკუმენტების მოძიებას, რომლებშიც შესაძლოა ასახული ყოფილიყო სახელდებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი იქნა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდში დაცული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების ტოპოგრაფიულ გეგმები და ტოპოგრაფიული რუკები.

II ეტაპი - ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეებთან შეხვედრა და სახელდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება. მეორე ეტაპის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის წევრები, ინტენსიურად ვხვდებოდით მოსახლეობას და ვაწვდიდით ინფორმაციას სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ, ასევე შეხვედრების დროს ვთხოვდით მოქალაქეებს გაეზრცელებინათ ინფორმაცია რაც შეიძლება მეტად, რათა ყველა ადამიანი ჩართულიყო მისი ქუჩის სახელდების პროცესში და რაც შეიძლება მეტი მოქალაქის ინტერესი და აზრი ყოფილიყო გათვალისწინებული. ამასთან, ვიღებდით ინფორმაციას კონკრეტული ქუჩის ისტორიული სახელის შესახებ, რაც მომავალში დაგვეხმარება სწორედ გადავწყვიტოთ სახელდების საკითხი.

III ეტაპი - სოფელ მაწიმისა და რაჭისუბნის მოსახლეობის მიერ ქუჩებისათვის სახელის მინიჭება. ჯგუფის საქმიანობის მესამე ეტაპზე მოხდა სოფელ მაწიმისა და სოფელ რაჭისუბნის ქუჩების სახელების განსაზღვრა მოსახლეობის მიერ რომელიც დაოქმდა დადგენილი წესით.

სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა თავდაპირველად განსაზღვრული იყო სამი თვით, რომელიც შემდგომ გაგრძელდა თითო-თითო თვით. ვინაიდან პირველმა და მეორე

ეტაპმა, საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე, მოითხოვა საკმაოდ დიდი დრო, მესამე ეტაპის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში შეხვედრების გამართვა ვერ მოხერხდა. ამიტომ, მომავალი წლიდან თუ კიდევ შეიქმნება აღნიშნული სამუშაო ჯგუფი, ფაქტობრივად საწყის სტადიაზე აღარ იქნება საჭირო დოკუმენტების მოძიება და ჯგუფის საქმიანობა დაიწყება უშუალოდ მოქალაქეებთან შეხვედრითა და მათი ინტერესების გამოკვეთით კონკრეტული ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების

დროებითი სამუშაო ჯგუფის

თავმჯდომარე:

რ.



ივანე ხაჩიძე